სადოქტორო პროგრამა

1.1.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
1.2 ფაკულტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე.
1.3. სადოქტორო პროგრამა განსაზღვრავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
1.4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.
1.5. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.
1.6.ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები მოიცავს 180 კრედიტს, აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტს.